ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2020 წელი, მეორე კვარტალი

შესავალი ..... 1 გვ.

პოპულარიზაცია ..... 2 გვ.

რთველის სამზადისი .....4 გვ

ადგილწარმოშობის დასახელებები..... 5 გვ.

ხარისხის კონტროლი.....6 გვ

ვენახების კადასტრი..... 6 გვ.

ქართული ვაზის კულტურის კვლევა..... 6 გვ.

სხვა ღონისძიებები ..... 7 გვ.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

2020 წელს კორონავირუსის (COVID -19) პანდემიამ საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის დარგში, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა მიმართულებაში, სრულიად ახალი რეალობა შექმნა: შემცირდა ღვინის ექსპორტი; ტურისტული სეზონის ჩავარდნამ მინიმუმამდე შეამცირა ღვინის გაყიდვები შიდა ბაზარზე, რამაც დარგი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. პანდემიის პირობებში გაუქმდა საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა-ფესტივალები, სადაც ქართული ღვინის წარდგენა იყო დაგეგმილი. აღნიშნულმა სიტუაციამ, კორექტივები შეიტანა ღვინის ეროვნული სააგენტოს პროგრამების განხორციელებაში. გააქტიურდა მუშაობა გამოწვევების დაძლევის გზების მოძიების მიმართულებით.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობისთვის, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორებმა ორგანიზაციებმა ღონისძიებები ციფრული მარკეტინგისა და ონლაინ-პლატფორმების გამოყენებით გააგრძელეს.
ქართული ღვინის სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე: აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, პოლონეთი, გერმანია და ბალტიისპირეთი, გაიმართა ონლაინ-დეგუსტაციები. ამასთან, გააქტიურდა მუშაობა სატელევიზიო რეკლამების მიმართულებით, ქართული ღვინის საპრომოციო გვერდები შეიქმნა მედია-პლატფორმებზე: Facebook, Instagram, და Youtube, სარეკლამო რგოლები გავიდა რადიოების ეთერებში და ა.შ. ქართული ღვინის რეკლამა განთავსდა ღვინის ონლაინ-საცალო გაყიდვების რეიტინგულ ვებ-გვერდებსა და აპლიკაციებზე: Winesearcher.com, Wine.com, Vivino; Drizzly, Delectable.
აღნიშნული სტრატეგია დარგს შესაძლებლობას მისცემს შეინარჩუნოს განვითარების ტემპები გრძელვადიან პერსპექტივაში.
სულ მეორე კვარტალში გერმანიაში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიასა და აშშ-ში ქართული ღვინის 12 დეგუსტაცია ჩატარდა, აქედან 9 ონლაინ-დეგუსტაციის ფორმატში.

მეორე კვარტალში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

ონლაინ-დიალოგი ჩინეთის ქალაქ პენგლაისთან

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

10 მაისს აბრეშუმის გზის პროექტ "ერთი გზა ერთი სარტყელი"-ს ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან მეხუზლას მონაწილეობით ჩინეთის ქალაქ პენგლაისთან ონლაინ-დიალოგი გაიმართა, რომელიც ჩინეთის ღვინის ბაზრის ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ღვინის პოპულარიზაციის ახალ გზებსა და ქართული ღვინის მარკეტინგის სამომავლო სტრატეგიას დაეთმო. ონლაინ-დიალოგში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არჩილ კალანდია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის საპრომოციო ცენტრის დირექტორი ადამ ჰუანგი, პენგლაის ვაზისა და ღვინის ინდუსტრიის განვითარების ცენტრის დირექტორი ძიან ფუმანი და ჩინეთის ალკოჰოლური სასმელებისა ასოციაციის გენერალური მდივნის მოადგილე ვან ცუმინი. ონლაინ-დიალოგი გადაცემაში „Yanjiu Night Talks" გაიმართა (მედია კომპანია „Beijing Yunjiu Media") და მას 70 ათასზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალს.

შეხვედრა მცირე მარნებთან

17 ივნისს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ხატია წილოსანმა ღვინის ინდუსტრიაში ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მცირე მარნების წარმომადგენლებთან ონლაინ გამართულ შეხვედრაზე განიხილა. კორონავირუსის პანდემიამ მცირე მარნები დააზარალა როგორც ექსპორტის, ისე ტურისტების რაოდენობის შემცირების გამო. შესაბამისად, მცირე მარნების წარმომადგენლებმა, შექმნილ ვითარებაში, საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის პოპულარიზაციის ალტერნატიული გზების საჭიროების და ამ მიმართულებით მხარდაჭერის საკითხის აუცილებლობაზე ისაუბრეს. მინისტრის მოადგილემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ის ახალი მიდგომები, რომლებიც მცირე მარნებს საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციასა და შემდგომ რეალიზაციაში დაეხმარება. როგორც ხატია წილოსანმა აღნიშნა, სტრატეგიულ ბაზრებზე ახალი ონლაინ პლატფორმების გამოყენებაში მცირე მარნებს მხარდაჭერას ღვინის ეროვნული სააგენტო აღმოუჩენს. გარდა ამისა, სააგენტო უზრუნველყოფს სადეგუსტაციო ღვინის გაგზავნას საერთაშორისო ბაზრებზე, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე მარნებს წარმოებული ღვინის რეალიზაციაში.

„დამზადებულია ქვევრში"

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

22 ივნისს პოლონეთში ღონისძიება სახელწოდებით „დამზადებულია ქვევრში“ გაიმართა, რომელსაც პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია დარჩიაშვილი დაესწრო. „დამზადებულია ქვევრში“ - კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის შემდეგ ქართული ღვინის პირველი ოფიციალური წარდგენა იყო პოლონეთში. მის ფარგლებში, ქალაქ კრაკოვთან მდებარე ისტორიულ დასახლებაში „Srebrna Gora“, ერთ-ერთ მარანში ორი ქვევრი ჩარგეს; გაიმართა დოკუმენტური ფილმის - “დამზადებულია ქვევრში” ახალი ეპიზოდის პრემიერა, რომელშიც მოთხრობილია ქართული ღვინის კულტურისა და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ; მოეწყო როგორც კლასიკური, ისე ტრადიციული ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიით დამზადებული ქართული ღვინოების დეგუსტაცია. აქვე, ორმა პოლონელმა მეღვინემ საქართველოდან ჩატანილ ქვევრში დაყენებული საკუთარი ღვინოებიც წარმოადგინა. ღონისძიებაში ადგილობრივი იმპორტიორები, მეღვინეები, მედიის, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ორგანიზატორების განცხადებით, ქვევრის ღვინის წარდგენას მოწვეული 60-ის ნაცლად, 100-მდე სტუმარი დაესწრო.

რთველის მოსამზადებელი სამუშაოები

2020 წელს კახეთის რეგიონში ჭარბ, 180 ათასამდე ტონამდე რქაწითელისა და კახური მწვანის და 90 ათას ტონამდე საფერავის მოსავალს ელოდებიან. პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა, ექსპორტისა და შიდა გაყიდვების შემცირებამ, გააჩინა რეალური საშიშროება, რომ მოახლოებული რთველის დროს, ღვინის მწარმოებელი კომპანიების მხრიდან ყურძნის შესყიდვაზე შემცირდება მოთხოვნა და მევენახეებს პრობლემა შეექმნებათ ყურძნის რეალიზაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, თეთრი ყურძნის მიმართულებით. ამ მოცემულობაში გაჩნდა მთავარი ამოცანა, არ დარჩეს გადაუმუშავებელი ყურძენი, არ იზარალოს მევენახემ. ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია მოხდეს ღვინის საწარმოების სტიმულირება, რომ მათ შეძლონ ყურძნის შესყიდვა-გადამუშავება და საწარმოო პროცესის და განვითარების შეუფერხებელი გაგრძელება. აღნიშნული გამოწვევის გათვალისწინებით, მთავრობამ გადაწყვიტა ბიუჯეტიდან რთველის სუბსიდირება, რომელიც დაახლოებით 20 ათასამდე მევენახეს ყურძნის რეალიზაციის, ხოლო რთველში ჩართულ ათეულობით კომპანიას

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

ყურძნის შესყიდვის შესაძლებლობას მისცემს; აღნიშნულის გათვალისწინებით, ღვინის ეროვნულ სააგენტოში მომზადდა რთველის ორგანიზებულად ჩატარების ხელშემწყობი ღონისძიებების განკარგულების პროექტი. მთავრობის გადაწყვეტილებით, კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მოწეული 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, ღვინის კომპანიებზე სუბსიდია 1 კგ რქაწითელისა და ასევე 1 კგ კახური მწვანისათვის 30 თეთრი გაიცემა. სუბსიდიას მიიღებს მხოლოდ ის ღვინის კომპანია, რომელიც 2020 წლის რთვლის განმავლობაში შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 1000 (ათასი) ტონა რქაწითელისა ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 80 თეთრს. ღვინის კომპანიების მხრიდან თეთრი ყურძნის შესყიდვაზე მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში სახელმწიფო მმართველობაში არსებული სს „აკურაც“ ჩაერთვება.

ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამა

მეორე კვარტალში რამდენიმე ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო დარეგისტრირდა და მათი რაოდენობა 24-მდე გაიზარდა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ ადგილწარმოშობის დასახელების ოთხი ღვინო დარეგისტრირდა: „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“. აღნიშნული სიახლე ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის.

ადგილწარმოშობის დასახელებების ოთხი ახალი ღვინიდან ერთი სამეგრელოს, ხოლო სამი კახეთის რეგიონში იწარმოება:

- **„სალხინოს ოჯალეში“** წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.
- **„ახმეტა“** თეთრი ან ქარვისფერი ღვინოა. მიკროზონა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს.
- **„წარაფი“** ქარვისფერი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

- **„ახოები“** წითელი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

„ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ახალი ღვინოების სპეციფიკაციების მომზადებასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში.

ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს.

ხარისხის კონტროლი

- საანგარიშო პერიოდში საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირება განხორციელდა 92 კომპანიაში, საიდანაც აღებული იყო 127 ნიმუში. სერტიფიკატის მიღებაზე უარი ეთქვა 5 კომპანიას.
- ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 58 დეგუსტაცია. სულ წარმოდგენილი იყო 2029 ნიმუში, მათგან 107 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი 1922 დადებითად.
- საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა - 2314 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის - 1234 ცალი, შესაბამისობის სერტიფიკატი - 2083 ცალი. სულ გაიცა 3317 სერტიფიკატი

ვენახების კადასტრის პროგრამა

- ღვინის ეროვნული სააგენტო 2020 წელს აგრძელებს ვენახების კადასტრის პროგრამას, რომელიც წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. კორონავირუსის (COVID -19) პანდემიამ საანგარიშო პერიოდში, შეაფერხა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საველე სამუშაოები. საქმიანობა გაგრძელდა მონაცემთა ბაზის (ABACO) განახლებით, ABACO-ექსპერტებთან და მევენახეებთან კონტაქტის ფორმატში.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა

- მომზადა სტატია „ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში: ღვინის ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო პროექტი“. სტატია დასაბეჭდად გადაეცა

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მცხეთის შესახებ მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნების მიზნით.

- მომზადდა სტატია „კრიკინა ვაზი საქართველოში“ ჟურნალ „ველური ბუნება“ -ში დასაბეჭდად.
- პროექტის მონაწილე ლორან ბუბის (მონპელიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი) მიერ შესრულდა რუსთავის ისტორიული გათხრების დროს მოპოვებული ვაზის წიპწების არქეობოტანიკური ანალიზი.

სააგენტოს პირველი რეგიონული წარმომადგენლობა

ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობა თელავში გაიხსნა. კახეთის სამსახურის თანამშრომლები მევენახეებსა და მეღვინეებს მათთვის საჭირო კონსულტაციებს გაუწევენ; კომუნიკაცია გამარტივდება სააგენტოსა და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შორის, რომელთა დიდი უმრავლესობა სწორედ კახეთის რეგიონში მდებარეობს. კახეთის რეგიონში მიმდინარე მევენახეობის კადასტრის პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღება ქალაქ თელავშიც შესაძლებელი გახდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს კახეთის სამსახური ვენახების კადასტრის მონაცემების მუდმივ განახლებას და სრულყოფას უზრუნველყოფს. ამასთან, ღვინის ეროვნული სააგენტოს კახეთის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იქნებიან ჩართული რთველის მოსამზადებელ სამუშაოებში. ღვინის ეროვნული სააგენტოს კახეთის სამსახური განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს ოფისში (მისამართი: ქალაქი თელავი, ალაზნის გამზირი).

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/nationalwineagency/, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge